ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ ნოემბერი _____ 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის"
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-მუხლის მე-2 პუნქტის, 16-მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის „ბ.ბ" ქვეპუნქტის, 106′ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------- ნოემბრის №---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი №412750713) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ: 898 283.84 (რვაას ოთხმოცდათვრამეტი ათას ორას ოთხმოცდასამი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარის ღირებულების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოწყობილი, 108 (ასრვა) ერთეული ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" (საიდენტიფიკაციო ნომერი №412750713) მიერ, საკუთრებაში გადაცემული, წინამდებარე განკარგულების პირველ მუხლში ხსენებული მოძრავი ქონება, გამოყენებულ იქნას მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის"
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და „ მიმწოდებლის" სატენდერო წინადადების საფუძველზე, №NAT220004234 აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ქართული მიკროელექტრონიკას" (საიდენტიფიკაციო №404874739) შორის 2022 წლის 16 მაისს გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №225 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა, ქალაქ ქუთაისში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების აღსაჭურვად, ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოების მოწყობა. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 898 283.84 (რვაას ოთხმოცდათვრამეტი ათას ორას ოთხმოცდასამი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარს. მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ქალაქ ქუთაისში, სხვადასხვა ლოკაციაზე დამონტაჟებული იქნა (108 (ასრვა) ერთეული) ელექტრონული საინფორმაციო ტაბლო.

გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" (საიდენტიფიკაციო ნომერი 412750713) 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს. საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანა, ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი №412750713) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ: 898 283.84 (რვაას ოთხმოცდათვრამეტი ათას ორას ოთხმოცდასამი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარის ღირებულების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოწყობილი 108 (ასრვა) ერთეული ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" (საიდენტიფიკაციო ნომერი №412750713) მიერ, საკუთრებაში გადაცემული, წინამდებარე განკარგულების პირველ მუხლში ხსენებული მოძრავი ქონება, გამოყენებულ იქნას მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება აგრეთვე ამ კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ასევე ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები." 16-მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ,,ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით; 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ" ქვეპუნქტის, შეესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ამ კანონის შესაბამისად შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს; 106′ მუხლის მე-6 პუნქტების, შესაბამისად 6.მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის/წევრის უფლებამოსილებებს ახორციელებს/ახორციელებენ მუნიციპალიტეტის/ მუნიციპალიტეტების შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო/ორგანოები. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, როგორც დამფუძნებელი/წევრი, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ, უძრავი ნივთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი